



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/62
05/02/2026

62-01-2-202602051435

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – თეიმურაზ
ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მეორე კოლეგიის 2026 წლის 23 იანვრის №2/1/1494 გადაწყვეტილებასთან
დაკავშირებით

1. გამოვხატავ რა ჩემი კოლეგებისადმი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის წევრებისადმი პატივისცემას, ამავე დროს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2026 წლის 23 იანვრის №2/1/1494 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა №1494 კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ეცნო „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების სხვა მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ზიანის სრულად ანაზღაურებას.

2. საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით. გასაჩივრებული ნორმის თანახმად, „სახელმწიფო პასუხს არ აგებს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისათვის“. №1494 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიიჩნევდა, რომ ნოტარიუსი ახორციელებს სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებას, ხოლო სადავო ნორმა, რომელიც ნოტარიუსის მიერ მიყენებულ ზიანზე გამორიცხავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ართმევს დაზარალებულს

~~საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2026 წლის 23 იანვრის №2/1/1494 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით~~

გარანტირებულ უფლებას, მიიღოს ზიანის სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ №2/1/1494 გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ნოტარიუსის თანამდებობის ბუნება განსხვავდება ტიპური სახელმწიფო მოსამსახურის/საჯარო მოხელის კონცეფციისაგან, რაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ლოგიკურად ახსნადს ხდის სახელმწიფოს გადაწყვეტილებას, ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების უშუალოდ ნოტარიუსისათვის დაკისრების თაობაზე. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად, ნოტარიუსი არ არის საჯარო მოხელე, ამასთან, იგი არ იღებს შრომის ანაზღაურებას ან სხვა სახის სარგებელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედების შესრულებისას არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. მართალია, ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თუმცა მისი როლი შემოიფარგლება კანონით დადგენილი ზედამხედველობით და არ გააჩნია უფლებამოსილება, შეაფასოს, შეცვალოს ან გააუქმოს ნოტარიუსის მიერ შესრულებული სანოტარო აქტი. დამატებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ნოტარიუსის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო ქმნის ჰიბრიდულ სამართლებრივ სტატუსს, რომლის ფარგლებშიც, პროფესიული თავისუფლება განაპირობებს ნოტარიუსის პერსონალურ პასუხისმგებლობას. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის რეგულირებისას, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამორიცხვა, არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ №1494 კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა (იხ., №2/1/1494 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 6-22 პუნქტები)

4. მიმაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობამ არასრულყოფილად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო პასუხისმგებლობის ფარგლები. №2/1/1494 გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარემოებები – ნოტარიუსის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან

პირდაპირი დაფინანსების არქონა და ადმინისტრაციული სუბორდინაციის არარსებობა ვერ ცვლის კონსტიტუციის მითითებული დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნის არსს, რომლის თანახმად, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას, პირისათვის მიყენებული ზიანის სრულ ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, იმისგან დამოუკიდებლად, მოქმედი კანონმდებლობით როგორ არის განსაზღვრული საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის/ორგანოს ფუნქციონირების მოდელის ძირითადი მახასიათებლები. საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს/პირის საქმიანობის ორგანიზების ფორმის განსაზღვრისას, სახელმწიფო სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული თავისუფლების გარკვეული ფარგლებით, მათ შორის, ასეთი ინსტიტუტისთვის ფინანსური დამოუკიდებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით. თუმცა, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების კანონმდებლობით დადგენილი მოდელის მიუხედავად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, იმთავითვე, დაცულია დაზარალებული პირის უფლება, შეძლოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს/პირის მოქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება იმავე მოცულობითა და ეფექტიანობით, როგორც ეს უზრუნველყოფილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინსტიტუტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სახელმწიფო საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით აგებდა პასუხს. მიმაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს მესამე პირთა ინტერესების სრულფასოვან დაცვას. ნოტარიუსთა პროფესიული დაზღვევის ვალდებულება და მათი პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა დაზარალებულთათვის არ წარმოშობს ისეთ მყარ გარანტიებს, როგორსაც უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებაზე სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. შესაბამისად, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

5. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება, შესაბამისად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“. კონსტიტუციის მითითებული დებულების მიზანია საჯარო

უფლებამოსილების განმახროციელებელი ორგანოს/პირის მიერ დაზარალებულის ინტერესების დაცვა მიყენებული ზიანის სრულიად ანაზღაურების გზით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩეს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების არცერთი უკანონო ქმედება. აუცილებელია, არსებობდეს ხელმისაწვდომი და ეფექტური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში პირი შეძლებს უფლებებში აღდგენას და მიყენებული მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის ანაზღაურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს მიიღებს და მოწყვლადი გახდება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედებების ჩადენის მიმართ“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია საჯარო უფლებამოსილების განმახროციელებელი ორგანოს/პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ზიანის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: „1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის [მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში] მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

7. №1494 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავო ნორმა გამორიცხავს საჯარო უფლებამოსილების განმახროციელებელი პირის, ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურებას. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა დაედგინა ნოტარიუსი არის თუ არა საჯარო

უფლებამოსილების განახორციელებელი პირი საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობის პოზიციით, ნოტარიუსი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განახორციელებელი სუბიექტია, თუმცა რადგანაც იგი ანაზღაურებას არ იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არის თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით და არ ექვემდებარება სამსახურეობრივ სუბორდინაციას, შესაბამისად, არ მოქმედებს, როგორც სახელმწიფოს ცალმხრივი, იმპერატიული ნების გამოხატველი ადმინისტრაციული ორგანო/სახელმწიფო მოსამსახურე და მის მიერ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურების კონსტიტუციური ვალდებულება არ არსებობს.

8. ვერ გავიზიარებ ჩემი კოლეგების აღნიშნულ პოზიციას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათალისწინებული ჩანაწერის მიზანია, უზრუნველყოს იმ პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვა, რომელთაც ზიანი მიადგათ საჯარო უფლებამოსილების განახორციელებელი სუბიექტების მიერ, იმისგან დამოუკიდებლად, მოქმედი კანონმდებლობით როგორ არის განსაზღვრული აღნიშნული პირის/ორგანოს ფუნქციონირების მოდელის ძირითადი მახასიათებლები. განსახილველი კონსტიტუციური დანაწესი სახელმწიფო პასუხისმგებლობას არ აკავშირებს იმ გარემოებებთან, იღებს თუ არა კონკრეტული ორგანო/პირი დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან ექვემდებარება თუ არა იგი სხვა სახელმწიფო ორგანოს ინსტიტუციურ ზედამხედველობას. დასახელებული კონსტიტუციური დებულების მიზნებისთვის საჯარო უფლებამოსილების განახორციელებელ ორგანოდ/პირად მიჩნევისთვის უმთავრესი კრიტერიუმია არა საქმიანობის ორგანიზების მოდელის ესა თუ ის ასპექტი, არამედ განხორციელებული უფლებამოსილების საჯაროსამართლებრივი შინაარსი. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, ნოტარიუსის საქმიანობის ბუნების დასადგენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ნოტარიუსის კომპეტენციათა არსი და არა – დელეგირებულ ფუნქციათა განსახორციელებლად კანონმდებლის მიერ შერჩეული მოდელის ფორმალური მახასიათებლები.

9. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ნოტარიუსის თანამდებობა მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვის მატარებელია და განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი

პუნქტის თანახმად, „ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება“. ამასთან, კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას. აღნიშნული გარემოება ხაზს უსვამს ნოტარიატის როგორც საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტისა და ნოტარიუსის, როგორც მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირის განსაკუთრებულ როლს სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №2/5/556 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

10. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ნოტარიუსი მიჩნეულია საჯარო ფუნქციების განმახორციელებელ ინსტიტუტად, რომელსაც განსაკუთრებული როლი აკისრია სამართლებრივი სახელმწიფოს სათანადოდ ფუნქციონირების თვალსაზრისით. რაც შეეხება ნოტარიუსის საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობას, იგი ერთმნიშვნელოვნად არ განმარტავს ნოტარიუსის სტატუსსა და საქმიანობის ბუნებას. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნოტარიუსი არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა კანონმდებლობა ცალსახად მიუთითებს, რომ ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რამდენადაც იგი ახორციელებს სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

11. სწორედ სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებების დელეგირების ფაქტი განაპირობებს კანონმდებლის მიერ სანოტარო საქმიანობის დეტალურად მოწესრიგების საჯარო ინტერესსაც. კერძოდ, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნოტარიუსი თანამდებობაზე ინიშნება იუსტიციის მინისტრის მიერ მხოლოდ კანონით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; სახელმწიფოს მიერ განისაზღვრება ნოტარიუსთა მაქსიმალური რაოდენობა; ხოლო სანოტარო მოქმედებების შესრულებისთვის დაწესებული საზღაური რეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. გარდა ამისა, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ჩამოთვლის ნოტარიუსის უფლებამოსილებებს, კერძოდ, ნოტარიუსი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს: ა) კანონით

დადგენილ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით ადასტურებს გარიგებებს; ბ) გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას; გ) გასცემს მემკვიდრეობის უფლების მოწმობას; დ) გასცემს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას; ე) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად; ვ) ამოწმებს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან; ზ) ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას; თ) ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს; ი) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს; კ) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს; ლ) ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან; მ) ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს; ნ) გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს; ო) დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქალღმერთებსა და ფასეულობებს; პ) გასცემს სააღსრულებო ფურცელს; ჟ) ასრულებს თამაშუქის პროტესტს; რ) გასაწვდომად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნაღებლობას; ს) შესაძლებლად იღებს დოკუმენტებს; ტ) ასრულებს საზღვაო პროტესტს. ნოტარიუსი, აგრეთვე, ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სანოტარო მოქმედებებს.

12. აღნიშნული სანოტარო მოქმედებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნოტარიუსის მონაწილეობა სამართლებრივ ურთიერთობებში ერთგვაროვანი ხასიათის არ არის. რიგ შემთხვევებში, ნოტარიუსის ჩართულობა წარმოადგენს ალტერნატიულ და ნებაყოფლობით მექანიზმს, მაგალითისთვის, ასეთია სანოტარო მედიაცია, აგრეთვე, ქორწინების რეგისტრაცია, რომლის არჩევაც მხარეთა ავტონომიურ ნებაზეა დამოკიდებული და დამატებით უზრუნველყოფს სამოქალაქო ურთიერთობების სტაბილურობას. ასეთი ტიპის ურთიერთობებში, მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ, საკუთარი ინტერესები განახორციელონ ნოტარიუსის ჩართულობის გარეშე, სხვა სამართლებრივი საშუალებებით. მეორე მხრივ, არსებობს ისეთი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებშიც სახელმწიფო საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას ექსკლუზიურად ნოტარიუსს ანიჭებს და არ უტოვებს კერძო პირებს ალტერნატიული მექანიზმების არჩევის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევებში, ნოტარიუსი მოქმედებს არა როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, არამედ როგორც სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების ერთადერთი განმახორციელებელი სუბიექტი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ექსკლუზიურობა ვლინდება, მაგალითად, სააღსრულებო ფურცლის გაცემის, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის

უზრუნველსაყოფად დადებული იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმების, სამკვიდრო მოწმობის გაცემის, უძრავი ქონების გადაცემაზე სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დამოწმების, აგრეთვე, სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელი ზომების მიღებისას, როდესაც ნოტარიუსის მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებს უშუალო და გადამწყვეტი გავლენა აქვს მესამე პირთა ქონებრივ უფლებებზე.

13. როგორც უკვე აღინიშნა, ვერ გავიზიარებ №2/1/1494 გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის ძირითად ლოგიკას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ნოტარიუსის მიერ მიყენებულ ზიანზე გამოირიცხება, რადგან ნოტარიუსი არ იმყოფება სხვა სახელმწიფო ორგანოებთან სამსახურებრივ სუბორდინაციაში და არ იღებს პირდაპირ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დასახელებული გარემოებები განსაზღვრავს ნოტარიუსის ორგანიზაციული და ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს, თუმცა ვერ ცვლის კონსტიტუციური მოთხოვნის არსს. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დანაწესის მიზანია, უზრუნველყოს იმ პირთა უფლებების დაცვა, რომელთაც ზიანი მიადგათ სახელმწიფო ორგანოების/პირების მიერ საჯარო უფლებამოსილებების განხორციელებისას, იმისდა მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობით როგორ არის განსაზღვრული შესაბამისი ორგანოს ან პირის საქმიანობის ფორმის ძირითადი მახასიათებლები.

14. კანონმდებელს გააჩნია დისკრეცია, განსაზღვროს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოთა/პირთა ფუნქციონირების კონკრეტული მოდელები და, ამ მხრივ, მას აქვს თავისუფლების გარკვეული ფარგლები, რომელთაც კონსტიტუცია თავისთავად არ ზღუდავს. თუმცა აღნიშნული თავისუფლება დაუშვებელია, იქცეს ზიანის ანაზღაურების კონსტიტუციური მოთხოვნის თავიდან არიდების ინსტრუმენტად. სახელმწიფო ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას იმ მოტივით, რომ საჯარო უფლებამოსილების ექსკლუზიურად განმახორციელებელი პირის საქმიანობის ორგანიზაციული ფორმა განსხვავდება სხვა სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების მოდელისგან. კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანო ან პირი საჯარო ფუნქციის ექსკლუზიურად განმახორციელებელია და ამ ფუნქციის შესრულების ფარგლებში პირს მიადგება ზიანი, პასუხისმგებლობა მისი სრული ანაზღაურებისათვის უნდა ეკისრებოდეს სახელმწიფოს.

15. სხვა სიტყვებით, დაუშვებელია, სახელმწიფომ საჯარო ფუნქცია გადაანდოს დამოუკიდებელ პირს ან ორგანოს, არ დაუტოვოს დაინტერესებულ მხარეებს ალტერნატიული არჩევნის შესაძლებლობა და, ამავდროულად, თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა ამ ფუნქციის განხორციელებისას მიყენებულ ზიანზე. აქვე მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ორი კონცეპტუალურად განსხვავებული შემთხვევა, ერთი მხრივ, როდესაც სახელმწიფო საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, დელეგირების გზით, ექსკლუზიურად ერთ სუბიექტს ანიჭებს და, მეორე მხრივ, როდესაც დელეგირებით იქმნება ალტერნატიული მექანიზმი, რომლის არსებობის პირობებშიც სახელმწიფო, საკუთარ ორგანიზაციულ ვერტიკალში, პარალელურად, ინარჩუნებს შესაბამის საჯარო ფუნქციის განხორციელებაზე უფლებამოსილებას. პირველ შემთხვევაში, როდესაც საჯარო ფუნქციის განხორციელება დამოუკიდებელ ორგანოს აქვს ექსკლუზიურად მინიჭებული, პირთათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სახელმწიფოს, ვინაიდან დაინტერესებულ პირს არ გააჩნია აღნიშნული სერვისის მიმწოდებლის არჩევნის შესაძლებლობა. მეორე შემთხვევაში კი, როდესაც სახელმწიფო, მაგალითად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ქმნის აღსრულების ეროვნულ ბიუროს, თუმცა პარალელურად უშვებს კერძო აღმასრულებლების არსებობასაც და, შესაბამისად, მხარეებს აძლევს თავისუფალი არჩევნის შესაძლებლობას, პასუხისმგებლობის განსხვავებული სტანდარტი შეიძლება ამოქმედდეს. ასეთ ვითარებაში, თუ მხარეები ნებაყოფლობით აირჩევენ დამოუკიდებელ სუბიექტს, კერძო აღმასრულებელს და მის მიერ განხორციელებული ქმედების/უმოქმედობის გამო, მოგვიანებით, დადგება ზიანი, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აღნიშნულ ზიანზე, ბუნებრივია, არსებითად შემცირებული იქნება, ვინაიდან მხარეებმა ალტერნატივებს შორის თავად აირჩიეს დამოუკიდებელი სუბიექტის მომსახურება.

16. განსახილველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ნორმა ვრცელდება, მათ შორის, ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებშიც კანონმდებელი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას ექსკლუზიურად ნოტარიუსს ანიჭებს და კერძო პირებს არ უტოვებს ალტერნატიული მექანიზმების არჩევნის შესაძლებლობას. შესაბამისად, დაკმაყოფილებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პირველი წინაპირობა – ნოტარიუსი საჯარო უფლებამოსილების ექსკლუზიურად განმახორციელებელი პირია. ამასთანავე, სადავო რეგულირება სრულად

გამორიცხავს ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფო სახსრებიდან, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ფაქტი დადგენილია სათანადო წესით, კერძოდ, არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და იკვეთება მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ამგვარად, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების სამივე წინაპირობა, ხოლო სადავო რეგულირება გამორიცხავს ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფო სახსრებიდან. შედეგად, იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით დაცული უფლება.

17. უფლების შეზღუდვის გამართლებაზე მსჯელობისას, მოპასუხე მხარე მიუთითებდა, რომ კანონმდებელი დაზარალებულ პირს არ ტოვებს ზიანის ანაზღაურების ალტერნატიული მექანიზმების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ გამორიცხავს საბიუჯეტო რესურსების გამოყენებას აღნიშნული მიზნისთვის. მოპასუხის პოზიციით, ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა მექანიზმით. კერძოდ, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, „ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ“. ამასთანავე, ხსენებული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ნოტარიუსს სანოტარო საქმიანობის დაწყება შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს ნოტარიუსთა პალატას წარუდგენს სავალდებულო პროფესიული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს. გარდა ამისა, ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება სავალდებულო პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

18. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას, პირველ რიგში, უნდა განემარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი და დაედგინა, უშვებს თუ არა დასახელებული კონსტიტუციური დანაწესი, მის ფორმულირებაში არსებული ექსპლიციტური მოთხოვნის მიუხედავად, შესაძლებლობას, რომ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის/ორგანოს მიერ მიყენებული ზიანი ანაზღაურდეს არა სახელმწიფო სახსრებიდან, არამედ ალტერნატიული, კერძოსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით.

19. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია დაზარალებული პირის

უფლებამო სრულიად აღდგენის უზრუნველყოფა. სახელმწიფო საბიუჯეტო რესურსებიდან ზიანის ანაზღაურება, იმთავითვე, აჩენს მოლოდინს და ქმნის გარანტიას, რომ მიყენებული ზიანი სრულიად იქნება დაფარული. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ზიანის სრულიად ანაზღაურების უფლებრივი გარანტიიდან გამონაკლისის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, „როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანი. მაგალითად, როდესაც ზიანის ანაზღაურების ხარჯი იმდენად მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომ მისი ანაზღაურება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ფუნქციონირებას, ფისკალურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას, შესაძლებელია მსჯელობა ზიანის ანაზღაურების უფლების შეზღუდვაზე, გადახდის განაწილვადებისა თუ სხვა ფორმებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/5/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21). ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის დანიშნულებაა, რომ გარანტირებული იქნეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ მოცულობით, რა შესაძლებლობასაც იძლევა სახელმწიფო საბიუჯეტო რესურსი მანან, სანამ საფრთხე არ შეექმნება სახელმწიფოს ფუნქციონირებას. სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების მასშტაბურობის გამო კი, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურება არ ქმნის ფისკალური უსაფრთხოების რისკებს, შესაბამისად, დაზარალებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება, გარდა უკიდურესი გამონაკლისი შემთხვევებისა, არის სრული და ეფექტური.

20. მიმაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური მოთხოვნა უნდა განიმარტოს მისი ზემოთ განხილული მიზნის გათვალისწინებით. სახელმწიფოს სახსრებიდან ზიანის ანაზღაურების შესახებ კონსტიტუციური ვალდებულების არსი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის აღებას მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურებაზე, მიუხედავად ანაზღაურების ფორმისა. აღნიშნული კონსტიტუციური ჩანაწერის დანიშნულება არ არის, სახელმწიფოს შეუზღუდოს უფლებამოსილება, სხვადასხვა ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებით, თავიდან აირიდოს პირველადი ფინანსური პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, არასაჭირო საბიუჯეტო დანახარჯები საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი ისეთი ორგანოს/პირის მიერ განხორციელებული საქმიანობისთვის, რომლის ფინანსურ დამოუკიდებლობას სახელმწიფო მიზანშეწონილად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, ფინანსურად

დამოუკიდებელი საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი ინსტიტუტის მიერ მიყენებული ზიანის შემთხვევაშიც, რელევანტურობას არ კარგავს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის უმთავრესი მოთხოვნა და, შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ზიანის ანაზღაურება განხორციელდეს იმავე მოცულობითა და ეფექტიანობით, როგორც ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინსტიტუტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სახელმწიფო საკუთარი სახსრებით აგებდა პასუხს.

21. ამდენად, საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, სახელმწიფოს აქვს მიხედულების გარკვეული ფარგლები, განსაზღვროს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს/პირის საქმიანობის ორგანიზების ფორმა, მათ შორის, ფინანსური პასუხისმგებლობის ნაწილში მიაწილოს მას დამოუკიდებლობა. თუმცა, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების კანონმდებლობით განსაზღვრული მოდელის მიუხედავად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლება დამოუკიდებლად მოქმედებს და, იმთავითვე, ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ყველა იმ რისკის სათანადო დაბალანსება, რომელიც მესამე პირთათვის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს/პირის საქმიანობის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების შერჩეული რეჟიმის მოქმედებას შესაძლოა მოჰყვეს. სხვა სიტყვებით, განსახილველი უფლებით დაცული სფერო სახელმწიფოს ავალდებულებს, შექმნას საჯარო უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ეფექტიანი გარანტიები და არ გამორიცხოს საკუთარი პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოქმედი მექანიზმები არ აღმოჩნდება ქმედითი ან ვერ უზრუნველყოფს დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანის სრულფასოვან ანაზღაურებას.

22. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულია ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ალტერნატიული მექანიზმები და, შესაბამისად, იკვეთება სახელმწიფოს ძალისხმევა, უზრუნველყოს დაზარალებული პირისათვის ზიანის ანაზღაურება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, უზრუნველყოფს თუ არა ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოქმედი მექანიზმები დაზარალებული პირის უფლების ისეთივე მოცულობითა და ეფექტიანობით დაცვას, როგორსაც უზრუნველყოფდა ზიანის ანაზღაურება სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებიდან.

23. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს ნოტარიუსის პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებული სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. თუმცა, ნოტარიუსის პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს, როგორც ზიანის ანაზღაურების კონსტიტუციური გარანტორის, სრულფასოვან შემცვლელად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის უფლებაში აღდგენა დამოკიდებული ხდება ნოტარიუსის, როგორც კერძო პირის, ქონებრივ მდგომარეობასა და გადახდისუნარიანობაზე. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მიზანი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების უზრუნველყოფაა. ნოტარიუსის პირადი პასუხისმგებლობა კი არ წარმოადგენს რაიმე დამატებით ან სპეციალურ მექანიზმს, რომელიც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონსტიტუციურ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, არამედ იგივე სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც მოქმედებს კერძო პირთა შორის წარმოშობილ სამართალურთიერთობებში.

24. ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის დამატებით მექანიზმს წარმოადგენს ნოტარიუსებისათვის დადგენილი სავალდებულო პროფესიული დაზღვევის სქემა, რომელიც „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით არის გათვალისწინებული და ნოტარიუსის საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში მოქმედებს. იმისათვის, რათა შეფასდეს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული სავალდებულო დაზღვევის სქემა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას და რამდენად არის იგი თვითკმარი ზიანის ანაზღაურების კონსტიტუციური გარანტიის შესასრულებლად, აუცილებელია, გამოკვლეული იქნეს, რა პირობებით ფორმდება ნოტარიუსის სადაზღვევო ხელშეკრულება.

25. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ნოტარიუსის პროფესიული დაზღვევის არსებით პირობებს და სადაზღვევო თანხის მინიმალურ ზღვარს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი“. „ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 17 მარტის №58 ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, „ნოტარიუსის სავალდებულო პროფესიული სადაზღვევო თანხის მინიმალურ ოდენობად განისაზღვრება წელიწადში 100 000 ლარი“. მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო

სასამართლოს მეორე კოლეგიას უნდა შეეფასებინა, ზემოაღნიშნული სადაზღვევო სქემა რამდენად უზრუნველყოფს ნოტარიუსის მიერ დაზარალებულ პირთა ზიანის ანაზღაურების უფლების იმ ხარისხით დაცვას, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან. იმის დასადგენად, ნოტარიუსის სავალდებულო პროფესიული სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობა – 100 000 ლარი საკმარისია თუ არა ზიანის იმ ხარისხით ასანაზღაურებლად, რასაც საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნოტარიუსის უფლებამოსილებების ბუნება და ნოტარიუსის ქმედების/უმოქმედობის შედეგად დამდგარი პოტენციური ზიანის მასშტაბები.

26. როგორც აღინიშნა, ნოტარიუსის უფლებამოსილებები მოიცავს მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციებს. მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ნოტარიუსის ისეთ უფლებამოსილებებზე, რომელთა განხორციელებაც პოტენციურად უკავშირდება მასშტაბური ქონებრივი ზიანის დადგომის რეალურ რისკებს. მაგალითისთვის, ნოტარიუსის უფლებამოსილებას განეკუთვნება სააღსრულებო ფურცლის გაცემა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი არ გადავა კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს, თუ ამის თაობაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსმა სანოტარო აქტში წერილობით განმარტა სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები. ამასთანავე, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი წარმოადგენს იძულებითი აღსრულების უშუალო სამართლებრივ საფუძველს. იპოთეკით სარგებლობისას უძრავი ნივთი იტვირთება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ხოლო სააღსრულებო ფურცლის გაცემით განისაზღვრება აღნიშნული ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის ან იძულებითი რეალიზაციის სამართლებრივი ბედი. შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სააღსრულებო ფურცლის გაცემას შეუძლია პირდაპირ და არსებითად განსაზღვროს მაღალი ღირებულების უძრავი ქონების ბედი და გამოიწვიოს დაზარალებული პირისთვის მასშტაბური ქონებრივი ზიანი.

27. გარდა ზემოაღნიშნულისა, ნოტარიუსის უფლებამოსილებას ასევე განეკუთვნება სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელი ზომების მიღება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1495-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად ნოტარიუსი დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან თავისი ინიციატივით იღებს სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელ ზომებს, რაც გაგრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე“. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ნოტარიუსი იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთაც უშუალო და გადამწყვეტი გავლენა აქვთ სამკვიდროს შემადგენლობის შენარჩუნებაზე, მართვასა და დაცვაზე. შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ განხორციელებულ ქმედებას ან უმოქმედობას შეუძლია პირდაპირ იმოქმედოს ადგილზე არმყოფი მემკვიდრეებისა და საანდერძო დანაკისრის მიმღებ პირთა ქონებრივ უფლებებზე, შედეგად კი გამოიწვიოს მათთვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

28. ამრიგად, აშკარაა, რომ ნოტარიუსის უფლებამოსილებები მოიცავს ისეთ საანდერძო მოქმედებებს, რომელთა განხორციელების შედეგად პირს შესაძლოა მიადგეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ზემოაღნიშნული უფლებამოსილებები ხშირად უკავშირდება უძრავ ქონებას, რომლის ზოგადი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე, რეალურია იმის ალბათობა, რომ ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 100 000 ლარს. ამ პირობებში, ნოტარიუსის სავალდებულო პროფესიული დაზღვევა და სადაზღვევო მინიმალური თანხის 100 000 ლარის ოდენობით განსაზღვრა ვერ უზრუნველყოფს ზიანის სრულ ანაზღაურებას და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება იმ ხარისხის მყარ და ეფექტიან გარანტიად, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ისახავს მიზნად.

29. „ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 17 მარტის №58 ბრძანების მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ნოტარიუსის პირად პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც მზღვეველის მიერ გადახდილი ანაზღაურება არ არის საკმარისი მიყენებული ზიანის სრულად ასანაზღაურებლად. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ნოტარიუსის პირადი პასუხისმგებლობა არ ქმნის რაიმე დამატებით, რიგითი სამოქალაქოსამართლებრივი ინსტრუმენტისგან გამორჩეულ გარანტიას. შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ნოტარიუსისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება და სავალდებულო დაზღვევა, რომლის

მინიმალურ სადაზღვევო თანხა შეადგენს 100 000 ლარს, არ წარმოადგენს იმდენად მასშტაბურ და სტაბილურ ფინანსურ რესურსს, რომ აღნიშნული გარანტია გაუთანაბრდეს სახელმწიფო საბიუჯეტო რესურსის საფუძველზე წარმოშობილ ზიანის ანაზღაურების გარანტიას.

30. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის სრულად ანაზღაურება ვერ ხერხდება ნოტარიუსის სადაზღვევო ხელშეკრულებისა და ნოტარიუსის პირადი ქონების ხარჯზე, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე გადადის დარჩენილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც ასევე სარგებლობს სადაზღვევო ხელშეკრულებით. მოპასუხე მხარის აღნიშნული პოზიცია ზიანის ანაზღაურების დამატებითი მექანიზმის არსებობის თაობაზე ასევე გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობამ და მიუთითა, რომ ამგვარი შესაძლებლობის საკანონმდებლო დონეზე გათვალისწინება, ქმნის სამართლებრივ საფუძველს კოლექტიური, დამატებითი უსაფრთხოების გარანტიის შესაქმნელად, რომელიც განსაკუთრებით დიდი მოცულობის ზიანის შემთხვევაში, შეიძლება იქნეს გამოყენებული. ვერ გავიზიარებ ჩემი კოლეგების აღნიშნულ პოზიციას. მართალია, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების დადება, თეორიულად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა არ აწესებს ნოტარიუსთა პალატისთვის ასეთი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებას. შესაბამისი საკანონმდებლო ჩანაწერი მხოლოდ ამგვარი შესაძლებლობის არსებობას ითვალისწინებს და არ განსაზღვრავს დაზარალებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების მყარ, წინასწარ განსაზღვრულ გარანტიას. ამდენად, ნოტარიუსთა პალატის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების შესაძლო არსებობა ვერ ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ისეთ საკანონმდებლო გარანტიად, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეფასებისას უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

31. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, რომ დააწესოს სპეციალური რეჟიმი, რომლის საფუძველზეც ნოტარიუსები იმოქმედებენ თავისუფლად და პასუხისმგებლობას აიღებენ თავიანთ ქმედებებზე, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების არსებული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს მესამე პირთა ინტერესების სრულფასოვან დაცვას.

ნოტარიუსთა პროფესიული დაზღვევის ვალდებულება და მათი პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა არ წარმოშობს ისეთ მყარ გარანტიებს მესამე პირთა უფლებების დასაცავად, როგორც ამას უზრუნველყოფდა საბიუჯეტო რესურსი.

32. განსახილველ საქმეზე, უფლების შეზღუდვის გამართლებაზე მსჯელობისას, მოპასუხე მხარე დამატებით განმარტავდა, რომ ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან სახელმწიფოს გამორიცხვით, კანონმდებელი მიზნად ისახავდა საბიუჯეტო სახსრების ოპტიმიზაციასა და ზედმეტი ფინანსური ტვირთის თავიდან არიდებას. მიმაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, უფლების შეზღუდვის გამართლებისთვის არ გამოდგება ფინანსურ ტვირთზე მითითება, რადგან ზიანის ანაზღაურების კონსტიტუციური უფლების რეალიზება თავისთავად პირობადებულია სახელმწიფოს საბიუჯეტო რესურსებით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფოს მიერ ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულებისგან თავის არიდება გამართლებული შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, „როდესაც ზიანის ანაზღაურების ხარჯი იმდენად მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომ მისი ანაზღაურება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ფუნქციონირებას, ფისკალურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/5/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21).

33. განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან თავის არიდება *per se* გამოწვეული არ არის მძიმე ფინანსური ტვირთით, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ფუნქციონირებას, ფისკალურ ან ეკონომიკურ უსაფრთხოებას. სადავო ნორმის საფუძველზე კანონმდებელი, საბიუჯეტო რესურსის ოპტიმიზაციის მიზნიდან გამომდინარე, ბლანკეტურად უარს ამბობს კონკრეტული საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი ინსტიტუტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. შესაბამისად, სახეზე არ არის ისეთი საგამონაკლისო შემთხვევა, რომლის არსებობის პირობებშიც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ქმნის იმდენად მძიმე ფინანსურ ტვირთს სახელმწიფოსათვის, რომ იგი საფუძველად შეიძლება დაედოს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვას.

34. მოპასუხე მხარე საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ასევე განმარტავდა, რომ ნოტარიუსის მიმართ ზიანის ანაზღაურების

სპეციალური რეჟიმის არსებობის მიზანს წარმოადგენს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ნოტარიუსის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი ორგანოს/პირის პროფესიულ საქმიანობაში დამოუკიდებლობა მიიღწევა სხვადასხვა გარანტიით. საჯარო დაწესებულება შესაძლოა ფუნქციონირებდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების პირობებში და, ამავდროულად, სარგებლობდეს მყარი ფინანსური და ინსტიტუციური დამოუკიდებლობით, როგორც, მაგალითად, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების შემთხვევაში. ამრიგად, გაუმართლებელია იმის მტკიცება, რომ საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი ინსტიტუტების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტისგან ფინანსური დამოუკიდებლობის შემთხვევაშია შესაძლებელი. შესაბამისად, არ იკვეთება ლოგიკური კავშირი სადავო შეზღუდვასა და ნოტარიუსის პროფესიული დამოუკიდებლობის ლეგიტიმურ ინტერესს შორის.

35. მოპასუხე მხარემ ასევე მიუთითა, რომ ნოტარიუსის მიმართ მოქმედი სპეციალური რეჟიმის გაუქმების შემთხვევაში, სახელმწიფო იძულებული გახდება, სრული ზედამხედველობა განახორციელოს ნოტარიუსის საქმიანობაზე, რაც სისტემის ცვლილების აუცილებლობას გამოიწვევს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი ინსტიტუტების ზედამხედველობის მექანიზმები, პირველ რიგში, უნდა შეიმუშაოს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვით. ამდენად, თავისთავად ის გარემოება, რომ კონსტიტუციური მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს, შესაძლოა, წარმოეშვას საჭიროება, შემოიღოს ნოტარიუსის ზედამხედველობის უფრო მყარი მექანიზმები, არ გამოდგება უფლების შეზღუდვის გასამართლებლად. საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის/ორგანოს საქმიანობაზე ზედამხედველობის ფორმებს სახელმწიფო განსაზღვრავს შესაბამისი ინსტიტუტის საქმიანობის ბუნებისა და მისგან მომდინარე რისკების გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც კანონმდებელს აქვს მიხედულების გარკვეული თავისუფლება, აირჩიოს ზედამხედველობის შედარებით მკაცრი ან ნაკლებად მკაცრი მოდელი. განსახილველი საქმის ფარგლებში ნოტარიუსის საქმიანობაზე სახელმწიფოს ზედამხედველობის არსებული მოდელის კონსტიტუციურობა შეფასების საგანს არ წარმოადგენდა. თუმცა, ბუნებრივია, კანონმდებლის მიერ მიხედულების ფარგლებში შერჩეულ ზედამხედველობის მოდელს, მისი სიმკაცრის ხარისხის მიუხედავად, ვერ ექნება გავლენა სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებაზე,

ანაზღაუროს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დაზარალებული პირისთვის მიყენებული ზიანი. ის გარემოება, რომ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ კონკრეტულ ორგანოსა თუ პირის მიმართ არ მოქმედებს ზედამხედველობის მკაცრი რეჟიმი, რაც შესაძლოა იწვევდეს ზიანის დადგომის შედარებით მომეტებულ რისკებს, ვერ გაამართლებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეზღუდვას. ამგვარად, მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი აღნიშნული არგუმენტაცია ვერ ჩაითვლება უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ ინტერესად. ამავდროულად, განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა რაიმე დამატებითი საჯარო ინტერესი, რომელიც გაამართლებდა სადავო ნორმით დაწესებული უფლების შეზღუდვას.

36. მიმაჩნია, რომ თუკი სახელმწიფოს სურვილია, გათავისუფლდეს საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ინსტიტუტის საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ტვირთისგან, იგი ვალდებულია, სპეციალური საკანონმდებლო რეჟიმიდან მომდინარე ყველა ის რისკი, რომელიც საფრთხეს უქმნის ზიანის ანაზღაურების კონსტიტუციურ გარანტიას, საკუთარ თავზე აიღოს. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სრულად გამორიცხვა ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულ პირთა ინტერესების დაცვის იმ სტანდარტს, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს. ამასთან, როგორც ზემოთ იქნა დასაბუთებული, არ იკვეთება რაიმე მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც გაამართლებდა აღნიშნულ შეზღუდვას. შესაბამისად, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მეორე წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისთვის იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზიანის ანაზღაურების სხვა მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ზიანის სრულად ანაზღაურებას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას.

37. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ვერ გავიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობის პოზიციას. მიმაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა №1494 კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ეცნო „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ანაზღაურების სხვა მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ზიანის სრულად ანაზღაურებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

თეიმურაზ ტულუში

ასლი დედანთან სწორია
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

გიორგი თევდორაშვილი



სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა

